

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №8

ქ.თბილისი

28.10.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

*საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:*

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;  
დავით კიკალაიშვილი - ადვოკატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;  
დიმიტრი ალავიძე - შპს „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს  
მდივანი;  
თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექ-  
ტორის მოადგილე;  
მიხეილ კორძაძია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;  
ზაქარია შველიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი;

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:*

ნანა ჭილაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;  
გიორგი ცხვედიანი - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;  
კონსტანტინე ჩოკორაია - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;  
თამარ ურუშაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;  
თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;  
ანა ბუჩუკური - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;  
ნათია ვაჭარაძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს კოორდინატორი.

*აკრედიტაციის ექსპერტები:*

ნანა ფრუიძე;  
მაია მადლაშვილი.

*საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:*

ნინო დურგლიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეონა ხუფენია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:10 სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.





50.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო (ქართულ-ფრანგული) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;  
51.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

# 1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამამ შეიცვალა სახელი ვიზიტის პერიოდში და ჰქვია ინგლისური ფილოლოგია. ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა დადებითია, თუმცა აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, ინგლისური ენისა და ლიტერატურის კურსების განაწილებისას დაცული იყოს თანაფარდობა. კერძოდ, ენის საგნების კრედიტ-მოცულობა აღემატება ლიტერატურისას (მაგ. სპეციალობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგანი - ინგლისური ლიტერატურის ისტორია მხოლოდ 5-კრედიტიანია).
- სასურველია, მოდულის - ქართული მწერლობა მსოფლიო მწერლობის კონტექსტში - მოცულობის (25 კრედიტი) შემცირება, რადგან პროგრამა ორიენტირებულია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის მომზადებაზე.
- ქვეყანათმცოდნეობისა და კულტურის ისტორიის მოდულები განსაზღვრულია როგორც სავალდებულო საგნები, ხოლო სპეციალობისათვის უფრო მნიშვნელოვანი - ინგლისური ენის ისტორია, ბრიტანულ-ამერიკული ენობრივი განსხვავებანი, რეცენზირება-რეფერირება გაწერილია სპეციალობის არჩევით საგნებში. სასურველია, მათი სტატუსის შენაცვლება.
- სტუდენტისათვის ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნების მოცულობა განსაზღვრულია 15 კრედიტით, ხოლო შეთავაზებულია 6 დისციპლინა. სასურველია, თანაფარდობა იყოს 1/3 ან მეტი.
- სასურველია, დაზუსტდეს საფაკულტეტო სავალდებულო საგნის სახელწოდება, კერძოდ, საგნის სახელი სპეციალობის შესავალი - შეიცვალოს ინგლისური ფილოლოგიის შესავალით.
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ბუნდოვანია სპეციალობის სავალდებულო საგნების წვრილ მოდულებად დაყოფის პრინციპი; უფრო ლოგიკური იქნებოდა ერთ მოდულში მეტი მონათესავე საგნის გაერთიანება.
- სასურველია, მეორე უცხო ენის (გერმანული ენა - 10 კრედიტი) მოცულობის გაზრდა, რათა მისაღწევი შედეგი უფრო რეალისტური იყოს.
- სასურველია, დამატებითი პროგრამის შემდეგ აღარ განმეორდეს არჩევით საგანთა ნუსხა, რადგან ეს უკანასკნელი საერთოა ძირითადი და დამატებითი პროგრამებისათვის. საკმარისია, სასწავლო გეგმაში დამატებითი პროგრამის სავალდებულო საგნების შემდეგ აღინიშნოს ეს გარემოება.
- სასურველია, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნების მოცულობის შემცირების ხარჯზე (140-ის ნაცვლად 120 კრედიტი) გაიზარდოს საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო საგანთა მოცულობა (ამჟამად 25 კრედიტია).
- საგანთა უმეტესობისათვის გათვალისწინებულია სემესტრში 30 საკონტაქტო საათი (15/15). სილაბუსებში გაწერილი შედეგების მისაღწევად. სასურველია, საკონტაქტო საათების გაზრდა და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საათების სხვადასხვაგვარად კომბინირება (30/30; 15/30; 30/15). ეს თავისთავად შეამცირებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის დროს (91 სთ.).

- ინგლისური ენის ბლოკის საგნებისათვის (ინგლისური ენა 1...6) ცხრილში აღნიშნულია მხოლოდ პრაქტიკული მეცადინეობისათვის გამიზნული 60 საათი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აქედან მინიმუმ 15 საათი უნდა ეთმობოდეს სალექციო მუშაობას, რათა სილაბუსით განსაზღვრული შედეგები ეფექტურად იქნას მიღწეული. მით უფრო, რომ როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, თითოეულ ჯგუფთან 2 სპეციალისტი იმუშავებს.
- მეორე უცხო ენის (გერმანულისათვის) საათები განაწილებულია ფორმულით 15/30-ზე. სასურველია, საგნის უკეთ ასათვისებლად და სასურველი შედეგების მისაღწევად პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა გაიზარდოს 15 საათით (15/45).
- საგანი - საინფორმაციო ტექნოლოგიები - ცხრილის მიხედვით ითვალისწინებს 10 ლექციასა და 20 პრაქტიკულ მეცადინეობას, რაც ნაკლებად მიესადაგება 15-კვირიან სამუშაო მოდელს. სასურველია, საკონტაქტო საათების გადანაწილების დაზუსტება.
- სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა. კერძოდ მიეთითოს კონკრეტული საგნები, რომელთა გავლაც აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ კურსის შესასწავლად ან ფრაზა - წინაპირობის გარეშე;
- სასურველია პროგრამაში გაპარული ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრა - დისციპლინების სახელწოდება ზოგ შემთხვევაში სხვადასხვაგვარადაა ფორმულირებული სილაბუსებსა და სასწავლო გეგმაში. მაგ.: სასწავლო გეგმაში დასახელებული საგანი - History of England; თარგმნის თეორია და პრაქტიკა; ბრიტანულ-ამერიკული ენობრივი განსხვავებანი; რეფერერება-რეცენზირება არ ემთხვევა სილაბუსებში მითითებულს - History of Great Britain; ინგლისური ენიდან თარგმნის თეორია და პრაქტიკა; ბრიტანულ-ამერიკული ინგლისურის განსხვავებანი; ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირება.
- სასურველია, შეფასების სისტემაში სრულად იყოს წარმოდგენილი ის კომპონენტები, რომლებსაც გავყავართ სასწავლო კურსით განსაზღვრულ შედეგებზე (მაგ.: თუ კურსი ითვალისწინებს საჯარო გამოსვლის ან აკადემიური წერისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას, ეს უნდა აისახოს შეფასების სისტემაშიც კომპონენტით - პრეზენტაცია/რეფერატი.
- სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ხშირ შემთხვევაში ერთდროულად ითვალისწინებს კოლოკვიუმსა და შუალედურ შეფასებას, რაც პრაქტიკულად ერთი და იგივეა. სასურველია, დაზუსტდეს კოლოკვიუმისა და შუალედური გამოცდების გამიჯვნის საფუძველი და საბოლოო გამოცდის ხვედითი წილი აღემატებოდეს შუალედური გამოცდისას.
- სასურველია, სილაბუსებში ყოველთვის იყოს გამიჯნული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა .
- ზოგ შემთხვევაში 15-კვირიან გეგმაში შუალედურ შემოწმებასა და კოლოკვიუმს დათმობილი აქვს როგორც სალექციო, ისე სასემინარო საათები, რაც ამცირებს სალექციო საათების რაოდენობას. ამდენად, სასურველია, ლექცია-სემინარების გამიჯვნა. მაგ.: (ისტორიის მეცნიერებათა შესავალი; აკადემიური წერა) და პირიქით, სასწავლო გეგმაში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ კვირაში მოუწევს სტუდენტს შუალედური გამოცდის ჩაბარება, მაგ.: სპეციალობის შესავალი; ქართული ფილოლოგიის შესავალი და სხვ. ამასთან, ზოგჯერ სილაბუსში მოცემულია ოდენ გასავლელი თემების ჩამონათვალი და არაა გაწერილი კვირების მიხედვით (გერმანული ენა 1; გერმანული ენა 2).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და მზადაა გაითვალისწინოს ისინი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 2. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

V

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული იყო როგორც შენიშვნები, ასევე რეკომენდაციები:

### *შენიშვნები:*

- პროგრამაში არ იყო მითითებული დაშვების წინაპირობები (აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია: აკად.საბჭ. №37 დადგენილებით. 20.10.2011);
- პირველი სემესტრის კურსის სილაბუსებში კურსის გავლის წინაპირობად მითითებული იყო წინაპირობა
- საბაზისო განათლება – თუმცა რეალურად წინაპირობები არ არსებობს. (ხარვეზი გამოსწორებულია: აკად.საბჭ. №37 დადგენილებით. 20.10.2011);

### *რეკომენდაცია:*

- კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სტრუქტურირებულია ინტეგრირებული პროგრამის სახით (ფაქტიურად მოიცავს მეოთხე-მეხუთე საფეხურს). საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, თუმცა კბილის ტექნიკოსის პროფესიული სტანდარტის (090251) მინიმალური მოთხოვნაა 30 კრედიტი: შესაბამისად, შესაძლებელი და სასურველია პროგრამის მოდიფიცირება ასათვისებელი კრედიტების შემცირების მიზნით, ვინაიდან აღნიშნული პროგრამის სავარაუდო სწავლის შედეგების მიღება შესაძლებელია უფრო ნაკლები კრედიტების (შესაბამისად გასავლელი კურსების შემცირებით) ფარგლებშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს და მზადაა გაითვალისწინოს ისინი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.



საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კბილის ტექნიკოსის V საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### 3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მეექვსე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების დიფერენციაცია დაეყრდნოს სტუდენტის რეალურ დატვირთვას (სწავლების საფეხურის, საგნის მოცულობის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობის, უცხოური ლიტერატურის მოძიების, ათვისების სირთულისა და სხვა მსგავსი მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით).
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიონალების და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება აღდგეს სტუდენტების მიერ ნებაყოფლობით საწყისებზე, ანონიმური ფორმით, ლექტორთა „ონლაინ“ რეჟიმში შეფასების პრაქტიკა, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში ჩართულობის უფრო მეტ ხარისხს;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება.
- სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით.
- სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სასურველია სილაბუსებში მოხდეს საკონტაქტო საათების გაშლა კვირების მიხედვით.
-

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს და ისინი აისახება პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩართვა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან სტუდენტები ისედაც ფლობენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სტუდენტთა მიერ ლექტორების შეფასების პრაქტიკაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებულმა პრაქტიკამ ვერ გაამართლა, ვინაიდან ელექტრონული ფორმით ლექტორის შეფასება იყო სავალდებულო ხასიათის და სტუდენტები გაუაზრებლად ავსებდნენ შეფასების ფორმებს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი შემოიღებს მათ განსხვავებული ფორმით.

საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა ცენტრის თანამშრომელს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე. ანა ბუჩუკურმა განმარტა, რომ დამსაქმებელთან გასაუბრებამ გამოკვეთა ასეთი ბაზის არსებობის საჭიროება, ანუ მსგავსი ბაზის შექმნა დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### 4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მეექვსე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების დიფერენციაცია დაეყრდნოს სტუდენტის რეალურ დატვირთვას (სწავლების საფეხურის, საგნის მოცულობის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობის, უცხოური ლიტერატურის მოძიების, ათვისების სირთულისა და სხვა მსგავსი მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით).
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიონალების და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება აღდგეს სტუდენტების მიერ ნებაყოფლობით საწყისებზე, ანონიმური ფორმით, ლექტორთა „ონლაინ“ რეჟიმში შეფასების პრაქტიკა, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში ჩართულობის უფრო მეტ ხარისხს;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება.
- სტუდენტთა საყოველთაო მობილობის პირობებში საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვან სირთულეს ქმნის საგანთა დასახელება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში უფრო შეიძლება მასტერ-კლასის ფორმატს მიესადაგება. მაგალითად: „შუა საუკუნეების ყოველდღიური ყოფიერება“.
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს.

- სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით.
- სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სასურველია სილაბუსებში მოხდეს საკონტაქტო საათების გაშლა კვირების მიხედვით.
- სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დროულად მიაწოდოს ინფორმაცია არჩევითი კურსების სილაბუსებში განახლებული ძირითადი ლიტერატურის შეძენის შესახებ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლი სრულად დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციებს და თქვა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მეექვსე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების დიფერენციაცია დაეყრდნოს სტუდენტის რეალურ დატვირთვას (სწავლების საფეხურის, საგნის მოცულობის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობის, უცხოური ლიტერატურის მოძიების, ათვისების სირთულისა და სხვა მსგავსი მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით).
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესორნალების და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება აღდგეს სტუდენტების მიერ ნებაყოფლობით საწყისებზე, ანონიმური ფორმით, ლექტორთა „ონლაინ“ რეჟიმში შეფასების პრაქტიკა, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში ჩართულობის უფრო მეტ ხარისხს;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება.
- სტუდენტის ინდივიდუალური პორტფელიოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობის არჩევითი საგნების რიცხობრივი რაოდენობის გაზრდა.
- სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სასურველია სილაბუსებში მოხდეს საკონტაქტო საათების გაშლა კვირების მიხედვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მეექვსე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების დიფერენციაცია დაეყრდნოს სტუდენტის რეალურ დატვირთვას (სწავლების საფეხურის, საგნის მოცულობის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობის, უცხოური ლიტერატურის მოძიების, ათვისების სირთულისა და სხვა მსგავსი მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით).
- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამათავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიონალების და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება აღდგეს სტუდენტების მიერ ნებაყოფლობით საწყისებზე, ანონიმური ფორმით, ლექტორთა „ონლაინ“ რეჟიმში შეფასების პრაქტიკა, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში ჩართულობის უფრო მეტ ხარისხს;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება.
- სტუდენტის მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სასურველია სილაბუსებში მოხდეს საკონტაქტო საათების გაშლა კვირების მიხედვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება.
- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი გავითარება – გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის დაწესება.
- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის აღმწერის მექანიზმის კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება პრაქტიკაზე დამყარებული კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს.
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეკომენდაცია ვერ იქნება გათვალისწინებული, ვინაიდან არ არსებობს მისი სწავლების აუცილებლობა. სტუდენტს შეუძლია თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აირჩიოს აღნიშნული სასწავლო კურსი. ზოგადად, კომუნიკაციის უნარის გამომუშავება ისედაც ჩადებულია პროგრამაში, ანუ სტუდენტები ჰუმანიტარული მიმართულების საგნების ათვისების შედეგად იძენენ კომუნიკაციის უნარს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კომპიუტერული რესურსცენტრებით, რომელთა გამოყენებითაც შეუძლიათ სტუდენტებს დიჯიტალური ცოდნის მიღება. უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაეთანხმა საუნივერსიტეტო გრანტებში სტუდენტის ჩართვის თაობაზე რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება იგი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამათავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
  - გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიონალებისა და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
  - პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
  - სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- სტუდენტის ინდივიდუალური პორტფელიოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის არჩევითი საგნების რიცხოვრივი რაოდენობის გაზრდა.
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იტალიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამატავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით.

- უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამაში გასაძლიერებელია უცხო ენის სწავლების საკითხები, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული თავისუფალი 15 კრედიტის გამოყენების გზით.
- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება პრაქტიკასა და კვლევაზე დამყარებული კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაძლებელია კონკრეტულად მიეთითოს ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოებისათვის საჭირო საათები (სასწავლო კურსებისათვის: გარემოს კონტროლი, ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკის ეკოლოგიური პრობლემები, ეკოლოგიური ქიმიკა, მოდელირება ეკოლოგიაში), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულად გაიწეროს პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სამუშაოთა თემატიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**32. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საბაკალავრო (დამატებითი პროგრამა) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საბაკალავრო (დამატებითი პროგრამა) პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასასურველია სასწავლო კურსებისთვის მინიჭებული კრედიტების დიფერენციაცია დაეყრდნოს სტუდენტის რეალურ დატვირთვას (სწავლების საფეხურის, საგნის მოცულობის, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობის, უცხოური ლიტერატურის მოძიების, ათვისების სირთულისა და სხვა მსგავსი მახასიათებელი კრიტერიუმების გათვალისწინებით);
- საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მეექვსე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
- სასწავლო გეგმების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილია მოხდეს სასწავლო კურსების კოდიფიცირება;
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს;
- სწავლების მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის მიზნით, სასურველი იქნება შეიქმნას ფაკულტეტის ერთიანი დიდაქტიკური კონცეფცია, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდოლოგიური კვალიფიკაციის შემდგომ სრულყოფას;
- სასურველია, სალექციო ცხრილში ძირითადი და დამატებითი სპეციალობების სალექციო საათების განაწილება მოხდეს ისეთი ფორმით, რომ სტუდენტის არჩევანის თავისუფლება მინიმალურად შეიზღუდოს და სტუდენტს მიეცეს საშუალება აირჩიოს შემოთავაზებული სასწავლო კურსებიდან ნებისმიერი (მისი ინტერესების შესაბამისად);
- სასურველი იქნება აღდგეს სტუდენტების მიერ ნებაყოფლობით საწყისებზე, ანონიმური ფორმით, ლექტორთა „ონლაინ“ რეჟიმში შეფასების პრაქტიკა, რაც გარკვეულად უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო პროცესის სრულყოფის პროცესში ჩართულობის უფრო მეტ ხარისხს.
- სასურველია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ბაზა მაქსიმალურად დაიხვეწოს, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება მოახდინოს როგორც ფაკულტეტის შიგნით, აგრეთვე სხვა ფაკულტეტების მიერ შემოთავაზებული საგნებით;



- გამოყენებადობის თვალსაზრისით – სტუდენტების, აბიტურიენტების, პროფესიონალების და ფართო საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ფაკულტეტს ჰქონდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების კატალოგი (მოკლე აღწერილობა);
- პროგრამების უკეთ ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იქნებოდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მოკლე ინგლისურენოვანი ანოტაციის შექმნა და მისი ვებ-გვერდზე განთავსება;
- სასურველი იქნება პროგრამაში ენობრივი პრაქტიკის კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებთან დამატებითი სასწავლო რესურსების მოძიებითა და კონტაქტების დამყარებით.
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია საფაკულტეტო სავალდებულო კურსების ლექციების მცირერიცხოვან აუდიტორიებში ჩატარება;
- შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მცოდნეობის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო დისციპლინებში იაპონური და ჩინური ფილოლოგიების დარგები მხოლოდ პრაქტიკული ენის კურსებითაა წარმოდგენილი. სასურველია, სამომავლოდ, დამატებითი პროგრამის შესაბამის დონეზე გათვლით, ფილოლოგიური დარგის ორივე მხარის - ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ასახვის მიზნით, ენების კურსთან ერთად წარმოდგენილი იყოს თუ ცალ-ცალკე იაპონური და ჩინური ლიტერატურის ისტორიის კურსები არა, ზოგადი ლიტერატურული პროფილის კურსი მაინც - შორეული აღმოსავლეთის ლიტერატურების ისტორია. რეკომენდაციაა, სამომავლოდ მოიძებნოს შესაბამისი რესურსი, შემუშავდეს ამგვარი კურსი და დაემატოს პროგრამის არჩევით კურსებს. ამ ეტაპზე კი პროგრამაში ასახული რეგიონმცოდნეობითი სტანდარტი (რეგიონის ენა, ისტორია, კულტურა, რელიგია, ეკონომიკა) დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საბაკალავრო (დამატებითი პროგრამა) პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საბაკალავრო (დამატებითი პროგრამა) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6  
 მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის საბაკალავრო (დამატებითი პროგრამა) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**33. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სტუდენტმა ზუსტად იცოდეს კონკრეტულად რომელ სემესტრში და როგორი თანმიმდევრობით ისწავლება სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები; (სასურველია სასწავლო გეგმაში მითითებული იყოს არა მხოლოდ შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები, არამედ კონკრეტულად სემესტრების რიგითი ნომერი.)
- სასურველია პროგრამას ახლდეს სემესტრებად გაწერილი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით, რათა სტუდენტმა ზუსტად იცოდეს, რომელი სასწავლო კურსების არჩევა შეუძლია კონკრეტულ სემესტრში; ამით სტუდენტს ხელს შეუწყობთ თავისი არჩევანის მიხედვით თავად შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო;
- სასურველია შესაბამისობა იყოს პროგრამის აღწერილობასა და პროგრამის სტრუქტურას შორის, კერძოდ, პროგრამის აღწერილობაში სპეციალობის სავალდებულო დისციპლინებზე გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომზე მოდის. დანარჩენი 110 კრედიტიდან 85 სავალდებულო მაპროფილებელ დისციპლინებს ეთმობა, ხოლო 25-სპეციალობის არჩევით დისციპლინებს. პროგრამის სტრუქტურაში კი საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული 10 კრედიტი სავალდებულო მაპროფილებელი დისციპლინების 85 კრედიტში მოიაზრება, ხოლო სპეციალობის არჩევით დისციპლინებზე მოდის არა 25, არამედ 35 კრედიტი.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამის სტრუქტურაში ინგლისური ენა მოიაზრება როგორც საფაკულტეტო არჩევითი კურსი 10 კრედიტის ოდენობით. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;
- სასურველია პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.
- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და კვლევის პროცესში შესაძლებელია სტუდენტების და კუსრდამთავრებულების ჩართვა.

- მიზანშეწონილი იქნება პოტენციურ დამსაქმებლებთან საქმიანი კონტაქტების შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. ამასთან სემესტრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული სისტემა ადრე მქომედებდა, თუმცა ამჟამად აღნიშნული სისტემა აღარ გამოიყენება - სემესტრების მითითება ხდება რიგითი ნომრების მითითებით.

ინგლისური ენის შესწავლასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ენის შესწავლა არჩევით დონეზეა უზრუნველყოფილი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

**34.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და რომლის პრეზენტაციაც შედგა ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლისა და სწავლების ფორმატი და მეთოდები.

- სასურველია პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები. თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### 35.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და რომლის პრეზენტაციაც შედგა ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და კვლევის პროცესში შესაძლებელია სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა

- მიზანშეწონილი იქნება პოტენციურ დამსაქმებლებთან საქმიანი კონტაქტების შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია. გარდა ამისა, სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევის ან მცირე მასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარება.

- სასურველია, შეძლებისდაგვარად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების ხვედრითი წონის გაზრდა, რათა სტუდენტს მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდეს არჩევანის მიხედვით შეადგინოს საკუთარი პორტფოლიო.

- სასურველია პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელე-კინო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**36.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და რომლის პრეზენტაციაც შედგა ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.
- მიზანშეწონილია დასაქმების ბაზრის უფრო სისტემური კვლევა და კვლევის პროცესში შესაძლებელია სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა
- მიზანშეწონილი იქნება პოტენციურ დამსაქმებლებთან საქმიანი კონტაქტების შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია. გარდა ამისა, სტუდენტების/მშობლების, აკადემიური საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევის ან მცირე მასშტაბიანი გამოკითხვის ჩატარება.
- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლისა და სწავლების ფორმატი და მეთოდები.
- სასურველია, პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები. სასურველია, პროფესიული პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე (ორიენტაცია პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე) სტუდენტებს სწავლის პროცესში ჰქონდეთ საწარმოო პრაქტიკის გავლის საშუალება, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათ პროფესიულ დაოსტატებაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც სრულიად საკმარისია სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის უნივერსიტეტის ბაზაზე გასატარებლად. საგანმანათლებლო პროგრამაში სტატისტიკის მონაცემების ასახვასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ ექსპერტთა რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რადგან



პროგრამას ჯერჯერობით არ ჰყავდა სტუდენტები, შესაბამისად მსგავსი სტატისტიკის წარმოებასაც აზრი არ ჰქონდა. რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შეფასების სტატისტიკა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიების შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტია და შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება თუ დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამაში ამ კომპონენტის გათვალისწინებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**37. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და რომლის პრეზენტაციაც შედგა ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლისა და სწავლების ფორმატი და მეთოდები.

- სასურველია, პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.

- სასურველია, პროფესიული პროგრამის თავისებურებებიდან გამომდინარე (ორიენტაცია პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე) სტუდენტებს სწავლის პროცესში ჰქონდეთ საწარმოო პრაქტიკის გავლის საშუალება, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათ პროფესიულ დაოსტატებაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტანსაცმლის დიზაინის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**38.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ნინო ლაღანიძე, თამარ ვეფხვაძე, მარინა გედევანიშვილი, თამარ ურუშაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;

- სასურველია პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციები ჩამოყალიბდეს უფრო ნათლად და მარტივად გასაგებად;

- სასურველია პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები;

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება როგორც მარკეტინგული თვალსაზრისით, ასევე სტუდენტთა კონტინენტის დაინტერესების თვალსაზრისითაც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, რაზეც მისი განცხადებით, ის გარემოებაც მოწმობს, რომ პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეოთხე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### 39.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში აისახოს ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლების მოდელი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე და რომლის პრეზენტაციაც შედგა ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუს დროს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას. ინგლისურენოვანი კომპონენტის გაძლიერებული სწავლება ხელს შეუწყობს სტუდენტს, გამოუმუშავდეს კომუნიკაციის უნარი, რაც გულისხმობს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას, ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ზეპირად გადაცემას სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას.

- მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა. შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამა ეფექტური იქნება მარკეტინგული თვალსაზრისითაც, სტუდენტთა კონტინგენტის დაინტერესების თვალსაზრისით.

- სასურველია პროგრამის კომპონენტთა სილაბუსებში უფრო ნათლად და გარკვევით გაიწეროს ყოველი კურსის/მოდულის დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**40. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება პრაქტიკასა და კვლევაზე დამყარებული კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს.
  - საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ ჩართვა, ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს, კვალიფიკაციის აღმწერის მექანიზმზე კრიტერიუმით („კომუნიკაციის უნარი“ ) განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
  - კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
  - სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
  - დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს.
  - პროგრამის მიხედვით, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 კრედიტის დაგროვება, ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება და ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა. უმჯობესი იქნება მივუთითოთ: „... ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენა“
  - არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი გავითარება – გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის დანერგვა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.



**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**41. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის (დამატებითი პროგრამა) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის (დამატებითი პროგრამა) საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის (დამატებითი პროგრამა) საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**42. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ანა ბუჩუკურმა. მისი თქმით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- კურიკულუმში კომპეტენციების რუქის ჩართვა დაინტერესებულ პირს პროგრამით მიღწეული ზოგადი და დარგობრივი უნარ-ჩვევების ერთიანი აღქმის საშუალებას მისცემს.
- სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს კურსდამათავრებულთა დასაქმების ერთიანი ბაზის შექმნას, რომელიც საფაკულტეტო ჭრილში იქნება კონცენტრირებული;
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. სასურველი იქნება თუ პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შეფასების ყველა ინდიკატორს დაწესებულება აქტიურად გამოიყენებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### 43. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით- საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარის (უცხო ენაზე კომუნიკაცია სპეციალისტებთან) უკეთ მიღწევისათვის უმჯობესია გადრმავდეს უცხო ენის სასწავლო კურსები დარგისთვის დამახასიათებელი ცოდნისა და უნარების მიხედვით
  - სასურველია შეფასების კრიტერიუმებში არ იყოს დასწრების კომპონენტი შეტანილი, ვინაიდან დასწრება რაიმე სახის აქტივობის გარეშე არ მიეკუთვნება სტუდენტის ცოდნის შეფასების კატეგორიას.
  - ვინაიდან კანონმდებლობამ დაუშვა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პედაგოგიური საქმიანობის შესაძლებლობა, მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის შემთხვევაში, მიზანშეწონილია აღნიშნული პროგრამის პოპულარიზაცია სწორედ მისი კურსდამთავრებულების პედაგოგიური პროფილით დასაქმების პერსპექტივების კონტექსტში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებს. მისი განცხადებით დაწესებულება ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს აკადემიურ პერსონალს შეფასების სისტემიდან დასწრების ელემენტის ამოღების თაობაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხო ენასთან დაკავშირებით დაწესებულებას სურდა კურიკულიმში ჩართო ტექნიკური თარგმანის კურსი, თუმცა აღნიშნული დისციპლინის შესწავლა ვერ განხორციელდება სპეციალობის მაპროფილებელი სასწავლო დისციპლინების ხარჯზე, ვინაიდან თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია რელევანტური სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### 44. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- პროგრამაზე მიღების პირობები პროგრამის აღწერაში უნდა დაფიქსირდეს მკაფიოდ და არაორაზროვნად.
- სასურველია, შეფასების კრიტერიუმებში არ იყოს შეტანილი დასწრების კომპონენტი, ვინაიდან დასწრება, რაიმე სახის აქტივობის გარეშე არ მიეკუთვნება სტუდენტის ცოდნის შეფასების კატეგორიას, ასევე სილაბუსში გამოიკვეთოს ყველა დაგეგმილი სწავლის შედეგის ათვისებისა და შეფასების მეთოდები, აღიწეროს რა კომპეტენციებზეა გათვლილი პროექტი და საბაკალავრო ნაშრომი, რა კრიტერიუმები და მეთოდები გამოიყენება აღნიშნული კომპონენტების შესაფასებლად.
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარის (უცხო ენაზე კომუნიკაცია სპეციალისტებთან) უკეთ მიღწევისთვის უმჯობესია გაღრმავდეს უცხო ენის სასწავლო კურსები დარგისათვის დამახასიათებელი ცოდნისა და უნარების მიხედვით.

- ნაცვლად სასწავლო კურსების კონცენტრაციისა „მათემატიკის მასწავლებელი“, სტუდენტებისთვის შეიძლება შეთავაზებული იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, „პედაგოგიკის მოდული“ და ა. შ.

სასურველია პროგრამა შეიცავდეს აღწერას, თუ რა მინიმალური მოთხოვნებია პროექტისა და საბაკალავრო ნაშრომის მიმართ, როგორ არის დაკავშირებული მოცემული პროგრამის კომპონენტები პროგრამაში გამოყენებულ შეფასების მეთოდებთან.

- სასურველია, დაკონკრეტდეს თუ რა ფორმით ტარდება შუალედური და საბოლოო გამოცდა. შეფასების როგორი კრიტერიუმები გამოიყენება გამოცდებზე და პრეზენტაციის შეფასებისას, ასევე შეფასების კრიტერიუმებში არ იყოს დასწრების კომპონენტი, ვინაიდან დასწრება რაიმე სახის აქტივობის გარეშე არ მიეკუთვნება სტუდენტის შეფასების კრიტერიუმებს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. თუმცა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვერ ხვდებოდა რა იგულისმებოდა პროგრამაზე მიღების საფუძვლის ორაზროვნებასა და არამკაფიოობაში, აგრეთვე მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ დაწესებულება თავისუფალია კონცენტრაციის მოდულის დასახელების შერჩევაში.

ექსპერტის განმარტებით, პირველი რეკომენდაცია შეფასების ქულებს ეხება, ხოლო მეოთხე რეკომენდაცია თავის თავში გულისხმობს რომ კონცენტრაციის დასახელება არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან

აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამისად, ვერ მოამზადებს პიროვნებას მათემატიკის მასწავლებლად მოღვაწეობისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გასავლელი კურსების შინაარსიდან და პროგრამის დარგობრივი დისციპლინების გავლისათვის აუცილებელი ცოდნის გამომუშავებიდან გამომდინარე შეფასების 30 ქულიანი სისტემა შესაბამისია.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.



**45. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომაძე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- შეფასების კრიტერიუმები ერთნაირადაა გაწერილი თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი შესაბამისობის დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და მოითხოვს შინაარსობრივ დაზუსტებებს, შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა კრიტერიუმები იყოს უფრო ნათელი და ნაკლებად ტოვებდეს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას.
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარის (უცხო ენაზე კომუნიკაცია სპეციალისტებთან) უკეთ მიღწევისთვის უმჯობესია გაღრმავდეს უცხო ენის სასწავლო კურსები დარგისათვის დამახასიათებელი ცოდნისა და უნარების მიხედვით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. თუმცა არ ეთანხმება რეკომენდაციას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული დიაპაზონი განპირობებულია აკადემიური თავისუფლების შენმარჩუნების შესაძლებლობით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

**46. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომაძე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სილაბუსების უმრავლესობაში შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის განკუთვნილი დრო საკონტაქტო საათებში არ არის გაწერილი.

- სწავლის შედეგებში: **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში** გვხვდება შემდეგი ჩანაწერი:

„იგი იცნობს და ერკვევა თანამედროვე ბიოლოგიის ძირითადი მეთოდების პრინციპებში.“,

„ იგი ერკვევა თანამედროვე სამეცნიერო ლაბორატორიებში გამოყენებულ აპარატურას“.ორივე ჩანაწერი მიეკუთვნება **ცოდნასა და გაცნობიერებას**. ასევე **სწავლის უნარში** გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „ასევე, სპეციალური ორწლიანი კურსის გავლისა და შესაბამისი დიპლომის აღების შემდგომ მიეცემა უფლება იმუშაოს სკოლაში მაღალი კლასების პედაგოგებად.“, აღნიშნული სასურველია გაიწეროს დასაქმების სფეროში და არა სწავლის უნარში.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიხედვით 240 კრედიტიდან 60 კრედიტი გამოყოფილია დამატებით(minor) სპეციალობისათვის. სტუდენტებთან (მეორე კურსი) ინტერვიუებით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: მათ არ შეუძლიათ პარალელურ რეჟიმში გაიარონ დამატებითი სპეციალობის დისციპლინები, ვინაიდან ხდება დამთხვევა ძირითადი სპეციალობის დისციპლინებისათვის გამოყოფილ განრიგთან. სასურველია ეს პროცესი დარეგულირდეს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

ამასთან აღნიშნა, რომ ძირითადი და დამატებითი სპეციალობების განრიგების დამთხვევის პრობლემა განპირობებულია რეგისტრაციის არსებული სისტემით, რომლის შესაბამისად, სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებამდე აქვს საშუალება მოახდინოს არჩევითი საგნის არჩევა, რის შესახებ უნივერსიტეტი ინფორმირებული არ არის. შესაბამისად, ადმინისტრირების პროცესიც გართულებულია. სწორედ ამიტომაც შემოღებული იქნება სასწავლო დისციპლინებზე წინასწარი რეგისტრაციის სისტემა, რომლის ამოქმედებაც აღმოხვრის აღნიშნულ პრობლემას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**47. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომაძე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებული იყოს მხოლოდ ქართულ ენოვანი წყაროები, ხოლო არაქართულ ენოვანი ლიტერატურა გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში.
- სასწავლო რუკაში კომპეტენციები არ არის გაწერილი იმ სასწავლო კურსებისათვის, რომელთა სწავლებასაც ახორციელებს სხვა ფაკულტეტი. სასურველია ისინიც იყოს გაწერილი.
- სასწავლო კურსის სილაბუსებში - „ისტორიული გეოლოგიისა 1“, „ისტორიული გეოლოგიისა 2“, „ზღვის და ოკეანების გეოლოგია“ მითითებულია მხოლოდ ერთი კომპეტენცია. მიმაჩნია, რომ 5 კრედიტატიანი საგანი სტუდენტისათვის უფრო მეტი კომპეტენციის მიმცემია.
- პროგრამაში გათვალისწინებულია უცხო ენის სწავლება. მიუხედავად ამისა, სასურველი იქნებოდა არჩევითი კურსის ფორმატში ისწავლებოდეს უცხო ენა დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას, ხოლო მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულებს უფრო მეტად გაუადვილებდათ პროფესიული კომუნიკაციის უნარი უცხოურ ენაზე.
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების კომპონენტში -კომუნიკაციის უნარში ფრაზაში „შეუძლია მიღებული შედეგების მკაფიოდ და თანმიმდევრულად გადაცემა, სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, წერილობითი და ზეპირი ფორმით;“ დავაზუსტოთ რომელ ენაზე ყალიბდება ეს კომუნიკაციები.
- სასურველია ლაბორატორიული ბაზა (შემღებისდაგვარად) პერმანენტულად განახლდეს

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

ამასთან აღნიშნა, რომ ძირითადი და დამატებითი სპეციალობების განრიგების დამთხვევის პრობლემა განპირობებულია რეგისტრაციის არსებული სისტემით, რომლის შესაბამისად, სტუდენტს სასწავლო წლის დაწყებამდე აქვს საშუალება მოახდინოს არჩევითი საგნის არჩევა, რის შესახებ უნივერსიტეტი ინფორმირებული არ არის. შესაბამისად, ადმინისტრირების პროცესიც გართულებულია. სწორედ ამიტომაც

შემოღებული იქნება სასწავლო დისციპლინებზე წინასწარი რეგისტრაციის სისტემა, რომლის ამოქმედებაც აღმოხვრის აღნიშნულ პრობლემას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**48. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომაძე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. რეკომენდაციები არ არის

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### 49.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია, შეფასების კრიტერიუმებში არ იყოს შეტანილი დასწრების კომპონენტი, ვინაიდან დასწრება, რაიმე სახის აქტივობის გარეშე არ მიეკუთვნება სტუდენტის ცოდნის შეფასების კატეგორიას.
- ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში გამოიკვეთოს ყველა დაგეგმილი სწავლის შედეგის ათვისებისა და შეფასების მეთოდები
- პროგრამაში აღიწეროს ჯგუფური პროექტით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები
- შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგების რუკაში, პროგრამის შესავალსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგები.
- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარის (უცხო ენაზე კომუნიკაცია სპეციალისტებთან) უკეთ მიღწევისთვის უმჯობესია გაღრმავდეს უცხო ენის სასწავლო კურსები დარგისათვის დამახასიათებელი ცოდნისა და უნარების მიხედვით.

შემუშავდეს და სილაბუსებში აისახოს გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმები.

- პროგრამიდან ამოღებული იქნეს „სხვა სპეციალობის სტუდენტებისთვის გამოყოფილი სასწავლო კურსების კონცენტრაცია „კომპიუტერული მეცნიერება“, 60 კრედიტის მოცულობით“, ხოლო 20 კრედიტიანი კონცენტრაციები: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმატიკის მასწავლებელი“ და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი“, შეთავაზებული იქნეს, როგორც პედაგოგიკის ან მენეჯმენტის მოდული.

- სხვა სპეციალობის (არა კომპიუტერული მეცნიერებების) სტუდენტებისთვის შემუშავდეს დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა (ჩამოყალიბდეს მიზანი, დაგეგმილი სწავლის შედეგები, პროგრამაზე დაშვების პირობები, სასწავლო გეგმა, შეფასების სისტემა და ა.შ).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.



საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 50.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო (ქართულ-ფრანგული) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომაძე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამაში აისახოს დასახელების („ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამა - კომპიუტერული მეცნიერება“) შესაბამისი მიზნები, მოცემული პროგრამა გათვლილია ორმაგ ხარისხზე, რაც არ არის ასახული პროგრამის მიზნებში.
- პროგრამის სწავლის შედეგებში უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი არ არის აღწერილი, თუმცა პროგრამით გათვალისწინებულია ფრანგული და ინგლისური ენების სწავლება, ასევე მთელი რიგი სასწავლო კურსების სწავლება ფრანგულ ენაზე. სასურველია, აღნიშნული გათვალისწინებულ იქნეს პროგრამის აღწერაში.
- წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსები ფრანგულენოვანია, შესაბამისად მასზე დაშვების ერთ-ერთი პირობა უნდა იყოს ფრანგული ენის ფლობა, პროგრამაზე დაშვების სხვა პირობები უნდა ჩამოყალიბდეს არაორაზროვნად.
- სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალურ კვლევით პროექტს, სასურველია პროგრამაში აღიწეროს ამ კომპონენტით დაგეგმილი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები.
- სასურველია, სასწავლო გეგმაში დაზუსტდეს სასწავლო კურსების დასახელებები, ხოლო სასწავლო კურსებში გადაიხედოს საათებისა და კრედიტების გაანგარიშება, პროგრამას დაერთოს უფრო მარტივი და სტუდენტისთვის იოლად გასაგები სასწავლო გეგმა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. ამასთან, აღნიშნა, რომ პროგრამაზე პარალელურად ისწავლება ფრანგული ენა და ტექნიკური ტერმინოლოგია. ფრანგული ენა არ არის გათვალისწინებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, რადგანაც რთულია ფრანგული ენის მფლობელი და ინფორმატიკით დაინტერესებული აბიტურიენტა კატეგორიის პოვნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო (ქართულ-ფრანგული) პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო (ქართულ-ფრანგული) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

**51.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები იყვნენ: ინგა ლომამე, ლელა ქელბაქიანი, მარიამ დარბაიძე, ლელა თურმანიძე, ნათია ვაჭარაძე.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნათია ვაჭარაძემ. მან აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დადებითია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტებს აქვთ რეკომენდაციები:

- უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით სპეციალისტებთან უცხო ენაზე კომუნიკაციის უკუთ მიღწევისათვის უმჯობესია გადრეკილი უცხო ენის სასწავლო კურსები დარგისთვის დამახასიათებელი ცოდნისა და უნარების მიხედვით
- სასწავლო კურსის პროგრამებში სწავლის შედეგი გაიწეროს კონკრეტულად

სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა არ იყო მიითებული ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში, თუმცა ავტორიზაცია გაიარა ამ პროგრამით, რამდენადაც ცენტრმა თანხმობა აგანაცადა აღნიშნული პროგრამის კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში ჩამატებაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0


**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.


სხდომა დასრულდა 23:25 საათზე

ნინო ხოფერია



სხდომის თავმჯდომარე

დimitრი ალაგიძე



სხდომის მდივანი

